მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი (თიშრეი) №9 (395) (5775) 2014

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ებრაული ახალი, 5775 წლის დადგომასთან დაკავშირებით, ისრაელის პრეზიდენტის მილოცვა მსოფლიოს ებრაული თემის წარმომადგენლებს

ძმებო და დებო,

დიასპორაში მცხოვრები ებრაული თემის ლიდერებო და მეგობრებო,

ებრაული ტრადიციის მიხედვით, როშ ჰაშანა პირადი, თემისა და ეროვნული სულიერების ძიების პერიოდია. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, ძირეულ საკითხებზე ფიქრი სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ოთხი ახალგაზრდის, ნაფტალის, გილადის, ეიალისა და მუჰამედის გატაცებისა და სამხრეთ ისრაელში მიმდინარე კამპანიის გამო ისრაელის მოქალაქეები და ლიდერები ურთულესი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: საკუთარი სახლები და მიწა დაიცვან თუ უდანაშაულო ადამიანებზე იზრუნონ? ისრაელი ვალდებული იყო, ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან წამოსულ ტერორზე სათანადო პასუხი გაეცა და არც ებრაული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ღირებულებები დაეკარგა, დაეცვა საკუთარი მოქალაქეების, როგორც ებრაელების, ასევე, არაბების თანასწორუფლებიანობისა და ღირსების პრინციპები.

ისრაელის გამძლეობა სამხედრო ძალაზე არ არის დაფუძნებული, იგი ლიბერალური, დემოკრატიული, ებრაული ღირებულებებიდან იღებს სათავეს, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ვეყრდნობით.

ისრაელის მთავრობა და საზოგადოება არა მხოლოდ სამხედრო, არამედ საზოგადოებრივი გამბედაობით გამოირჩევა როგორც ყოველდღიურ, ასევე კრიზისულ სიტუაციებში.

ოპერაცია "თავდაცვის ზღვარის" მიმდინარეობისას თვალნათლივ ჩანდა, რომ ისრაელი ბრძოლის ველზე მარტო არ იდგა. თავისუფალი სამყაროს ლიდერები და ებრაული მოძრაობისა თუ თემების წარმომადგენლები მხარდამხარ იდგნენ ისრაელთან, რათა დაეცვათ საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის შენარჩუნებისა და სამხრეთის დასახლებებში მშვიდობის აღდგენის უფლება, რომელიც ისრაელის მსგავსად, ნებისმიერ ქვეყანას აქვს.

ახალი წლის წინა დღეებში მინდა, მადლობა გადავუხადო ებრაული თემების ლიდერებსა და წარმომადგენლებს ისრაელის სამხედროებისა და მოქალაქეების მხარდაჭერისთვის. დარწმუნებული ვარ, კვლავაც ერთად შევეჭიდებით გამოწვევებს, რომლებთან გამკლავებაც ებრაელ ხალხს მოუწევს როგორც ისრაელში, ასევე – დიასპორაში.

ძვირფასო მეგობრებო,

მომავალი წელი ებრაული ტრადიციით, "შმიტა" წელია, რომლის დროსაც მინამაც და ადამიანებმაც უნდა დაისვენონ. "შმიტას" დროს ეკონომიკური რბოლა და პირველობისათვის ბრძოლა უნდა შევარბილოთ და ადამიანებში სულიერების ძიება უნდა დავიწყოთ. ღმერთს ვთხოვ, რომ ამ წელიწადს ჩვენს გულებში თანაგრძნობამ, დიდსულოვნებამ და ურთიერთპასუხისმგებლობამ დაიბუდოს. დაე, მომავალმა წელიწადმა ბედნიერება და მრავალფეროვანი ებრაულ ხმების ჰარმონია მოგვიტანოს, რომელიც ყოველ ჩვენგანს ერთ ოჯახად, ერთ თემად და ერთ ერად გვაქცევს.

შანა ტოვა ვე'მეტუკა

რუვენ (რუვი) რივლინი

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ისრაელის ელჩის — იუვალ ფუქსის საახალწლო მილოცვა

ერთ ებრაულ სიმღერაში ებრაელები ვმღერით: „დღეები და წლები გადიან, მხოლოდ მუსიკაა მუდმივი“.

მორიგი ებრაული წელიწადი დასასრულს უახლოვდება, მალე ახალი წელიწადი შემოაბიჯებს. გასული 12 თვე სამუშაოთი, ბედნიერებითა და მეგობრობით იყო სავსე, თუმცა, ისრაელისა და ებრაელი ხალხისთვის დიდი გამოწვევებიც მოიტანა. ყოველი ჩვენგანი სუნთქვაშეკრული უყურებდა ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს და გასულ ზაფხულს არაერთი ღამე გავათენეთ თეთრად, როდესაც „ჰამასთან“ დაჰირისჰირების დროს ისრაელს და მის მოქალაქეებს, ჩვენს მეგობრებს, ძმებს და დებს აშდოდში, აშკელონსა და სდეროთში, კიბუცებსა და თელ ავივში თავშესაფრის ძებნა უწევდათ 4 ათასი ჯურვისაგან დასაცავად, რომლებიც ღაზადან ისრაელის მიმართულებით იქნა გამოსროლილი.

მინდა, მადლობა მოგახსენოთ თანადგომისა და მხარდაჭერისთვის! წლეულს არაერთხელ გავხდით ანტისემიტური გამოვლინებების მოწმენი. მსგავსი ფაქტი ბრიუსელის მუზეუმშიც დაფიქსირდა. სირთულეებისა თუ ლხენის დროს თითოეული ჩვენგანი მსგავსი გამოვლინების წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს.

ებრაელებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, თავისუფლად იცხოვრონ ნებისმიერ ადგილას, იქნება ეს მათი ისტორიული მიწა - ისრაელი, თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნები.

ებრაული ახალი წლის დამდეგს მინდა, ყველას არა მხოლოდ ბედნიერი, არამედ მშვიდობიანი და უსაფრთხო წელიწადი გისურვოთ.

შანა ტოვა ვე მეტუკა!

პატივისცემით,
იუვალ ფუქსი

საქართველოს ელჩმა ისრაელში პაატა კალანდაძემ ისრაელის პრეზიდენტს რწმუნების სიგელი გადასცა

ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პაატა კალანდაძემ რწმუნებათა სიგელები გადასცა ისრაელის პრეზიდენტს რუვენ რივლინს. რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიის შემდეგ შედგა საუბარი, რომლის დროსაც საქართველოს ელჩმა და ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვეს იმ მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობის მნიშვნელობას, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებობს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველო-ისრაელის თანამშრომლობა მომავალშიც დინამიურად განვითარდება.

ბატონი პაატა კალანდაძე გამოცდილი დიპლომატია, მან დიპლომატიური სამსახური სწორედ ისრაელში დაიწყო და შემდეგ მრავალ ქვეყანაში იცავდა საქართველოს ინტერესებს. დღეს კი ისრაელს ელჩის რანგში დაუბრუნდა. მას ისრაელში ჰყავს მრავალი მეგობარი და პატივისმცემელი. ყველაფერი ეს გვარწმუნებს, რომ მისი ელჩობა ისრაელში წარმატებული იქნება.

„მენორას“ რედაქცია საქართველოს ახალ ელჩს ისრაელში — პაატა კალანდაძეს გამარჯვებას უსურვებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის პრემიერ-მინისტრისგან მადლობის წერილი მიიღო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსგან მადლობის წერილი მიიღო. როგორც "ინტერპრესნიუსს" პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, პრემიერ ნეთანიაჰუს წერილი ირაკლი ღარიბაშვილს დღეს ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა პირადად გადასცა. ელჩს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა.

ბენიამინ ნეთანიაჰუ ქართველ კოლეგას მადლობას უხდის იმ თანაგრძნობისა და თანადგომისთვის, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო პერიოდში ისრაელში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ისრაელის ელჩმა ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს, ასევე განიხილეს უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული დეტალები და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

იუვალ ფუქსმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ისრაელის მთავრობის სახელით თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-ისრაელის მეგობრული ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

მიხეილ მირილაშვილის თაოსნობით

ისრაელის საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლები საქართველოში ეკონომიკური პროექტების განხორციელებით დაინტერესდნენ

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ისრაელის საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლები საქართველოში მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებით დაინტერესდნენ, - ამის შესახებ დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ებრაელი ბიზნესმენების შეხვედრაზე გახდა ცნობილი.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ებრაული საინვესტიციო კომპანიების, Kitaiminvest-ის, Plarium-ის და Pegasus East West-ის წარმომადგენლებმა ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით საქართველოში მსხვილი პროექტების განხორციელების სურვილი გამოთქვეს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ბიზნესმენებმა საქართველოს ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოში 100 ათასი დოლარის ოდენობის შემოწირულობა განახორციელეს. საქართველოს მთავრობა აღნიშნულ საინვესტიციო კომპანიებთან მაღალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი ესწრებოდნენ.

მოთხოვნა იომ ქიფურის თაობაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას თხოვნით მიმართა ამ ორგანიზაციის წევრმა 32 ქვეყანამ.ეს ქვეყნების თხოულობენ, რომ იომ ქიფური შეტანილი იქნას საერთაშორისო დღესასწაულების ნუსხაში. დოკუმენტში აღნიშნულია: „გაერო სცნობს მსოფლიო რელიგიების მრავალ მთავარ დღესასწაულს, იუდაიზმი კი ჯერჯერობით არ შედის ამ ნუსხაში. გვწამს,რომ გაერო უნდა გამოხატავდეს ამ ორგანიზაციის მთავარ—თანაარსებობის,სამართლიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ვთხოვთ გამოასწოროს ეს უსამართლობა და აღიაროს ებრაელთა წმინდა დღე“.

კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს გაეროს 193 წევრი ქვეყანა. დღემდე გაეროს მიერ ცნობილია ათი დღესასწაული-ამათ შორისაა ქრისტიანული დღესასწაულები აღდგომა, ვნების პარასკევი, მუსლიმური ურაზა-ბაირამი და ყურბან-ბაირამი.

ებრაული ფორუმი

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში სამ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენცია, საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზი-ის ებრაელები“, რომელიც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ., თელ-ავივის ბარ ილანის,უნივერსიტეტებმა, დაჰანის ცენ-ტრმა, აშკელონის აკადემიურმა კოლეჯმა, რელიგიის სამინ-ისტრომ და საქართველოში ისრაელის საელჩომ გამართეს.

თბილისში ჩატარდა ერთობ სერიოზული სამეცნიერო ფო-რუმი, რომლის მნიშვნელობა დროის შემდეგ გამოვლინდება. იმის დასტურად, თუ რაოდენ სერიოზულად მიმდინარეობს დღეს ქართველ ებრაელთა ისტორიის, თანამედროვეობის შესწავლა, გადავწყვიტეთ კონფერენციის პროგრამის დაბე-ჭდვა. იგი ნათელს ჰფენს, თუ რაოდენ სერიოზული კონფერ-ენცია ჩატარდა და რაოდენ დიდი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა საორგანიზაციო კომიტეტმა (ხელმძღვანელის— პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე).

10:30-11:30	კონფერენციის გახსნა სხდომის თავმჯდომარე: **დოქტ. შიმონ ოხაიონ,ოსრაელის** ქნესეთის წევრი, დაჰანის ცენტრის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	მისალმებები: **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი** **აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი** **პროფ. აპოლონ სილაგაძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **პროფ. მარიამ ჩაჩიბაია, ებრაულ-არამეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **პროფ. იარონ ჰარელი, დაჰანის ცენტრის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**
	პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, კონფერენციის თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	მცხეთის სინაგოგა, I-III საუკუნეები
	პროფ. ია აკოვ რო ი, თელ-ავივის უნივერსიტეტი და დოქტ. ხენ ბრამი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი
	ებრაული იდენტობის დაცვა საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ: რელიგიის ადგილი ქართველ ებრაელთა შორის, მთისა და ბუხარის ებრაელები
12:00-12:30	შესვენება
12:30-14:30	მე-2 სექცია: ცენტრალურ აზიასა და იერუსალიმს შორის
107-ე აუდიტორია	**თავმჯდომარე: პროფ. იარონ ჰარელი, დაჰანის ცენტრის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**
	პროფ. რაუფ ჰუსეინოვი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია
	აზერბაიჯანის ებრაელები
	პროფ. იცხაკ ქერემი, არისტოლის უნივერსიტეტი და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი
	მთიელი ებრაელები ჰოლოკოსტის დროს
	დოქტ. იაირ ფაზ, იუდეურ მეცნიერებათა შეხტერის ინსტიტუტი
	იერუსალიმის გურჯების უბნის მოსახლეობა (1885-1930), გენეალოგიურ-ისტორიული გამოკვლევა
	პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისი
	ქართული პოეზია ისრაელში
14:30-15:30	შესვენება (ლანჩი)
15:30-16:30	მე-3 სექცია: კიდუშინი და ლიტურგია
	თავმჯდომარე: დოქტ. მარგალით იოსიფონ, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	პროფ. ლეა მაკოვეცკი-ბორწშტეინი, არიელის უნივერსიტეტი
	მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქორწინების ტრადიცია საქართველოს ებრაელთა შორის, ქალის სტატუსი ქართულ ებრაულ თემში
	პროფ. რახელ შარაბი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	ტრადიციული ცერემონია თანამედროვე საზოგადოებაში: ებრაელთა საქორწილო ცერემონიალები საქართველოსა და ისრაელში
	პროფ. შლომო იანეცი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	საქართველოს ებრაელთა ლიტურგიულ წყაროთა ეთნო-მუსიკალური გამოკვლევა
	ორშაბათი, 8 სექტემბერი, 2014
	სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“
	შესავალი სიტყვა: შიმონ ოხაიონი
	მილოცვები:
	ბ-ნი იუვალ ფუქსი, ისრაელის ელჩი საქართველოში **ქ-ნი ელისო ჩაფიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი** **დოქტ. ფინხას ხალივა, აშკელონის აკად.კოლეჯის გენ. დირექტორი**
10:00-12:00	სამშაბათი, 9 სექტემბერი, 2014
სააქტო დარბაზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	მე-4 სექცია: რეპატრიაცია, აბსორბცია და კულტურული კონტაქტი
	თავმჯდომარე: დოქტ. მამუკა ბუცხრიკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	პროფ. დავიდ კასუტო, არიელის უნივერსიტეტი
	სინაგოგები საქართველოში
	ქ-ნი ოქსანა აბრამოვი, არიელის უნივერსიტეტი
	იდენტობათა შეხვედრა: 90-იან წლებში კავკასიიდან ამოსული მთიელი ებრაელები და ისრაელის საზოგადოება
	დოქტ. მაია მელცერ-გევა, ქინერეთის აკადემიური კოლეჯი
	ებრაელები-ქართველები-ისრაელელები: ინტეგრირებული თუ დაპირისპირებული იდენტობები?
	ქ-ნი მარია ვეიცი, კურატორთა აკადემიური ასოციაცია, პეტერბურგი
	მეხსიერების სტრატეგია: როგორ ავლენენ თანამედროვე ისრაელელი ხელოვანები თავიანთ ეთნიკურ სახეს
	ქ-ნი ხედვა როკახ და ბ-ნი იტაი ბახურ, წიგნის „შემოდგომა თბილისში“ ავტორები
	თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების სიახლოვე და თანამედროვე ებრაული ეროვნული იდენტობის ფორმირებასთან
12:00-12:30	შესვენება
12:30-14:00	პარალელური სექციები
101-ე აუდიტორია	მე-5 სექცია: ბიბლიური ისტორია და შემოქმედება
	თავმჯდომარე: დოქტ. გურამ პაატაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	პროფ. ხანანაელ მაკ, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	საქართველოს ებრაელები შუა საუკუნეებში და რაბი მოშე ჰაფარსი თბილისიდან
	პროფ. ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	მცხეთის ებრაული თემი გვიან ანტიკურ ხანაში
	დოქტ. ბენ-ციონ ბარბი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	კავკასიის იუდაიზმის რელიგიურ დოგმათა გაზრება
	პროფ. თამარ ლომთაძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ქართულ-ებრაული ურთიერთობები
სააქტო დარბაზი	მე-6 სექცია: ებრაელთა საზოგადოებრივი სტატუსი
	თავმჯდომარე: გურამ ბათიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	დოქტ. იაკობ ოფირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	საქართველოს ებრაელთა დევნა კომუნისტური რეჟიმის მიერ
	დოქტ. ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ტოტალიტარიზმი-რეპრესია-ქალი (გერმანიის ებრაელთ რეპრესია საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს)
	დოქტ. ნუგზარ ტერ-ოგანოვი, თელ-ავივის უნივერსიტეტი *საქართველოს ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა მე-18 საუკუნეში, ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით*
	პროფ. მარიკა მშვილდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	საქართველოს ებრაელთა სოციალური სტატუსის კვლევისათვის
14:00-15:00	შესვენება (ლანჩი) 14:00-15:00
15:00-16:30	პარალელური სექციები
107-ე აუდიტორია	მე-7 სექცია: ეკონომიკა და პრესა
	თავმჯდომარე: დოქტ. შლომი დორონი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	დოქტ. ელი გოლდშტეინი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	საქართველოს ებრაელთა ეკონომიკური და საქმიანი ცხოვრების პროფილი: მე-14 საუკუნიდან 1970 წლამდე პერიოდის მიმოხილვა
	პროფ. რამაზ გახოკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	„ბიოორგანული“ მწვანე რევოლუციის დასაწყისი
	დოქტ. ველვ ჩერნინი, არიელის უნივერსიტეტი
	საბჭოთა ებრაელები საბჭოთა აჭარაში
	პროფ. მანანა გოცირიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ებრაული პრესა საქართველოში „პერესტროიკამდე“ და „პერესტროიკის“ შემდეგ
101-ე აუდიტორია	მე-8 სექცია: ებრაული იდენტობა
	თავმჯდომარე: პროფ. ეფრაიმ ხაზანი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	დოქტ. ირაკლი ჩხაიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ებრაული იდენტობის ფორმირების საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ გამოცემებში
	პროფ. რუსუდან საგინაძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	ვერბალურ ფორმათა დამახასიათებელი თვისებები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში
	დოქტ. იური მურზაყანოვი, ნალჩიკი, რუსეთი
	მთიელი ებრაელები რესპუბლიკულ გაზეთში „კარახალკი“ (ნალჩიკი)
	დოქტ. მარინა ბერიძე და დოქტ. ნარგიზა სურმავა, არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
	როგორ არის წარმოდგენილი ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართულ დიალექტურ კორპუსში
20:00	მიღება ისრაელის ელჩთან საქართველოში, ბ-ნ იუვალ ფუქსთან
	ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 2014
	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10:00-12:00	მე-9 სესია: ლიტერატურა
107-ე აუდიტორია	**თავმჯდომარე: პროფ. თამარ ალექსანდერი, ნეგევის ბენ გურიონის სახელობის უნივერსიტეტი**
	პროფ. რეუვენ ენოხი, არიელის უნივერსიტეტი
	„ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეული თარგმანის რამდენიმე საინტერესო შტრიხი
	პროფ. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	დოკუმენტები შოთა რუსთაველის შესახებ იერუსალიმიდან, მითი და რეალობა
	პროფ. ეფრაიმ ხაზანი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	ესპანური პოეზიის გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ გაპონოვისეულ ებრაულ თარგმანზე
	პროფ. ორციონ ბართანა, არიელის უნივერსიტეტი
	საქართველოს ებრაელთა ისტორია გურამ ბათიაშვილის ისტორიული რომანის „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ მიხედვით
	დოქტ. ოფრა მაცოვ-კოჰენი, არიელის უნივერსიტეტი
	ინტერკულტურული დიალოგი გურამ ბათიაშვილის შემოქმედებაში
12:00-14:00	მე-10 სექცია: ლიტერატურა და ფოლკლორი
107-ე აუდიტორია	**თავმჯდომარე: პროფ. მარიამ ჩაჩიბაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
	პროფ. თამარ ალექსანდერი, ნეგევის ბენ გურიონის სახელობის უნივერსიტეტი
	იერუსალიმსა და ქუთაისს შორის: რაბინული თქმულებები საქართველოში
	პროფ. ლალი გულედანი, ილიას უნივერსიტეტი
	ბიალიკის „დიბუკის“ თარგმანი
	პროფ. დან შაპირა, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	ქართული ქრონიკების ცნობები ებრაული ენის შესახებ
	დოქტ. ლელა წიწუაშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი
	ებრაული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში
	დოქტ. ზოვა ფელდმანი, არიელის უნივერსიტეტი
	გალაკტიონის ლექსი „ქარი ქრის...“ (კრიტიკული ანალიზი)
15:00-16:30	მე-11 სექცია: ინტეგრაცია კულტურათა შორის **თავმჯდომარე: პროფ. რეუვენ ენოხი, არიელის უნივერსიტეტი**
107-ე აუდიტორია	**დოქტ. შლომი დორონი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი**
	ულტრა-ორთოდოქსი ქართველები ისრაელში
	პროფ. ტალია იანჰორენი, არიელის უნივერსიტეტი
	საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაელები: მათი აბსორბციის სამართლებრივი ასპექტები და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მათი გამოსვლის ქვეყნებთან
	დოქტ. მარგალით იოსეფტალი, აშკელონის აკადემიური კოლეჯი
	ებრაული ენის სწავლების მეთოდიკა კავკასიის ებრაელთათვის
	რაბინი დოქტ. დორონ დანინო, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	ქართული ებრაული თემის განსაკუთრებულობა ეკონომიკაში, განათლებასა და საზოგადოებაში
17:00-19:00	მე-12 სექცია: სიონიზმი
107-ე აუდიტორია	**თავმჯდომარე: პროფ. ლეა მაკოვეცკი-ბორწშტეინი, არიელის უნივერსიტეტი**
	პროფ. მოშე იცხაკი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	რაბინი და მისი მოწაფე: რაბინი აბრაამ ხოვლესი და რაბინი დავიდ ბაზოვი, სიონისტური გამოღვიძება საქართველოში
	დოქტ. მოისეი ბეიკერი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემია
	სიონიზმი აზერბაიჯანში
	დოქტ. მალქა კეც, დავიდ იალინის სახელობის აკადემიური კოლეჯი
	საქართველოდან, ბუხარიდან და კავკასიიდან გამოსულ ებრაელთა კავშირი რელიგიურ სიონისტურ მოძრაობასთან ისრაელში „იშუვის“ პერიოდში
	ბ-ნი ამინადავ იცხაკი, ბარ-ილანის უნივერსიტეტი
	ნათან ელიაშვილი - პედაგოგი, აქტივისტი სიონისტი და საქართველოს იუდაიზმის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი
	ბოლო სიტყვა და დახურვა
	პროფ. იარონ ჰარელი, დაჰანის ცენტრის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

იუვალ ფუქსი: „ჰამასის“ ოცნებაა, ისლამური ხალიფატის შექმნა და ამისთვის მზად არიან მოჭრილ თავებზე იარონ

ღაზას სექტორში უკიდურესად გამწვავებულ ვითარებაზე "კვირის პალიტრა" საქართველოში ისრაელის ელჩს, იუვალ ფუქსს ესაუბრა.

იუვალ ფუქსი - არავინ იფიქროს, რომ ერთ დღესაც ისრაელმა გაიღვიძა და გადაწყვიტა, ღაზაში სამხედრო ოპერაცია ჩაეტარებინა. ჩვენი ქალაქების დაბომბვით სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს, ყველაფერი კი სამი ებრაელი მოზარდის გატაცებითა და დახოცვით დაიწყო, რასაც ერთ-ერთმა პალესტინელმა ლიდერმა "გმირული საქციელი" უწოდა. სწორედ ამ ტიპის "ისლამურ ჯიჰადთან" უწევს დღეს ბრძოლა ჩემს ქვეყანას და მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვებრძვით და არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო პალესტინელი ხალხისა. მეტიც, გვსურს, ბოლოს და ბოლოს, დადგეს ის დრო, როდესაც მშვიდობიან მოქალაქეებს მშვიდად ძილის საშუალება მიეცემათ; როცა არავის შეეშინდება, რომ ძილში შეიძლება რაკეტამ იმსხვერპლოს და არავინ დაიწყებს თხუთმეტი წამის გადათვლას, რათა თავშესაფარში შესვლა მოასწროს. აი, ეს არის ჩვენი მიზანი.

- ბატონო ელჩო, მაინც რა საშუალებებითა და მეთოდებით აპირებთ ამ მიზნის მიღწევას?

- ჩვენ მზად ვართ ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამოვიყენოთ. თუნდაც სახმელეთო ოპერაცია, რომელიც შეჩერდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გამო, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, გაგრძელდება. უპირველესად, უნდა შეწყდეს ებრაული ქალაქების დაბომბვა. უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში კი აუცილებელია ღაზას სექტორის რეკონსტრუქცია და დემილიტარიზაცია, როგორც ეს დასავლეთ ნაპირზე მოხდა. წარსულის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სანამ ღაზაში იქნება რაკეტები, რომელიც "ჰამასს" შეუძლია ისრაელს დაუმიზნოს, მშვიდობა დიდხანს ვერ გასტანს.

- თუმცა, საფრთხეშია არა მარტო ისრაელის მოქალაქეების სიცოცხლე. არაპროპორციულად დიდია პალესტინის მშვიდობიანი მოქალაქეების მსხვერპლი, იღუპებიან ბავშვები, ნადგურდება ინფრასტრუქტურა... მთელი მსოფლიო შეაძრწუნა ისრაელის არტილერიის მიერ "ღაზაში" გაეროს სკოლის დაბომბვამ... როგორ ფიქრობთ, სამართლიანი ის ფასი, რისი გადახდაც პალესტინის მშვიდობიან მოქალაქეებს უწევთ?

- როგორც ადამიანი, როგორც ებრაელი, როგორც მამა, მთელი გულით გეუბნებით, რომ ძალიან გვაწუხებს და ვნანობთ თითოეულ უდანაშაულო სიცოცხლეს, რაც შესაძლოა, ჩვენს საპასუხო რეაქციას მოჰყვა "ჰამასის" მიერ ებრაული ქალაქების დაბომბვის შემდგომ. ამასთან, მინდა შეგახსენოთ, რომ ასევე არაფერი დაუშავებიათ ისრაელის იმ მოქალაქეებს, რომლებიც "ჰამასის" ნასროლ ჭურვებს შეეწირნენ. მათგან განსხვავებით, ჩვენ არ ვუმიზნებთ მშვიდობიან მოსახლეობას. მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ არ დაუდგენიათ, თუ რომელი მხარე იყო პასუხისმგებელი გაეროს სკოლის დაბომბვაზე, თუმცა, ეს არ ცვლის იმას, რომ მოხდა უაღრესად სამწუხარო და დასანანი ფაქტი. მაგრამ, და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაგრამაა, გაერომაც კი დაადასტურა, რომ "ჰამასი" ხშირად იყენებს გაეროსა და სხვა სკოლებს საბრძოლო ამუნიციების შესანახად.

- და ეს ამართლებს ხალხით სავსე სკოლის აფეთქებას?

- თუ ჰიპოთეზებზე მიდგა საქმე, მაშინ წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ცხოვრობთ თბილისში, გორში ან ქუთაისში, გამუდმებულ შიშში, რომ ერთ დღესაც დაგბომბავენ და თავშესაფარში შესვლას ვერ მოასწრებთ. მე არ მინდა უზენაეს სამართლიანობაზე ვისაუბრო, მაგრამ როდესაც ისრაელი აფრთხილებს პალესტინელებს, სახლები დატოვონ და ევაკუაციისკენ მოუწოდებს, "ჰამასი" კი მათ ქალაქებიდან გასვლის საშუალებას არ აძლევს და საზარბაზნე ხორცად იყენებს, მათი სახლებისა და სკოლების ქვეშ გვირაბები გაჰყავს და საბრძოლო არსენალს ინახავს, ვინ არის ამ სიტუაციაში მკვლელი?

მე ვფიქრობ, და მზად ვარ ამაზე პასუხი გავცე ნებისმიერს, რომ ისრაელის არმია მსოფლიოში ყველაზე ეთიკური არმიაა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ლამის პინცეტს ვხმარობთ სამიზნეების შერჩევისას. ყოველთვის მაქსიმალურ ძალისხმევას ვხარჯავთ იმაზე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაზარალდეს. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ მარცხს განვიცდით, რადგან მჭიდრო არეალში გვიწევს ბრძოლა.

- დღევანდელი მოვლენების ფონზე, რეალურად მიგაჩნიათ თუ არა დასავლეთის ინიციატივის - ისრაელ-პალესტინის ორეროვანი სახელმწიფოს განხორციელება?

- არა მგონია ამ თვეში, რომელსაც ამხელა მსხვერპლი მოჰყვა, ვინმეს მოეცალა ორეროვანი სახელმწიფოს მიდგომაზე საფიქრად, მაგრამ ზოგადად, ეს არა მარტო დასავლეთის, არამედ ჩვენი მთავრობის პოზიციაცაა. მაგრამ ასეთი სახელმწიფოს შესაქმნელად საჭიროა გყავდეს პარტნიორი, რომელსაც ენდობი, რომელსაც სურს შენთან თანაცხოვრება და დაინტერესებულია მშვიდობითა და სტაბილურობით, "ჰამასს" კი ერთადერთი, რაც აინტერესებს, ისრაელის მიწის პირისგან აღგვა და ფანატიკური ისლამური ხალიფატის შექმნაა. სხვა საკითხია მაჰმუდ აბასი – მიუხედავად იმისა რომ მან გადაწყვიტა, ხელისუფლება "ჰამასისთან" ერთად გაეყო, მას, როგორც "ზომიერი მიდგომის" მქონე ლიდერს, აქვს როლი ჩვენს სამშვიდობო გეგმებში. საქმე ისაა, რომ ღაზაზე აბასს არანაირი კონტროლი არ აქვს – ღაზას აკონტროლებს "ჰამასი", რომლის იდეოლოგია და საქმიანობა არაფრით განსხვავდება იგივე "ისისისა" და "ჰეზბოლასაგან". ეს ტერორისტული ორგანიზაციები საფრთხეს უქმნიან არა მარტო ისრაელს, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთს. რამდენიმე დღის წინ, მას შემდეგ რაც გავრცელდა შემზარავი კადრები, თუ როგორ მოკვეთეს თავი ამერიკელ ჟურნალისტს "ისის"-ელმა რადიკალებმა, ბარაკ ობამამ ამ ორგანიზაციას "მსოფლიოს კიბო" უწოდა, "ჰამასი" კი მათ იდეოლოგიას იზიარებს. მათ არ აინტერესებთ XXI საუკუნე, არ იზიარებენ მსოფლიო ღირებულებებს, არ ადარდებთ ადამიანი ქრისტიანია, იეზიდი, იუდეველი თუ სხვა. ერთადერთი, რაც ანაღვლებთ,ფანატიკური ოცნების ასრულებაა - ისლამური ხალიფატის შექმნა და ამისთვის მზად არიან, მოჭრილ თავებზე იარონ.

- ანუ გამორიცხავთ მშვიდობიან თანაარსებობას პალესტინასთან, სანამ "ჰამასი" ფუნქციონირებს...

- ჩვენ გამოვრიცხავთ თანამშრომლობას ყველა ისეთ მხარესთან, "ალ-ქაიდა" იქნება თუ "ჰამასი", ვინც ისრაელს სახელმწიფოდ არ აღიარებს. სხვათა შორის, უკვე ათი წელი იქნება, რაც ჩვენ ღაზა დავტოვეთ, იქ აღარ ცხოვრობენ ებრაელები და რა მივიღეთ შედეგად? ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც ფეხი მოიკიდა და დღეგამოშვებით ისრაელის მოქალაქეებს ბომბავს. აგვისტოს ომი 2008-ში 5 დღე გაგრძელდა, მიუხედავად ამისა, მე ვიცი, თუ რამხელა სტრესი იყო ეს თქვენთვის. ახლა წარმოიდგინეთ, რა სტრესში ცხოვრობენ ისრაელის მოქალაქეები იმ წლების განმავლობაში, რაც "ჰამასი" ღაზაში დამკვიდრდა. წარმოიდგინეთ, გორი რომ ათი წელი ებომბათ, ისე როგორც ებრაულ ქალაქებს ბომბავენ დღეს.

- თქვენი და ჩვენი სიტუაციის შედარება საკმაოდ საკამათოა.

- მე არც ვადარებ. მე მინდა თქვენს მკითხველს სრული სურათი დავუხატო, თუ რა ხდება ჩვენთან...

- თუმცა, ამ სრულ სურათს მაინც აკლია რამდენიმე მნიშვნელოვანი "შტრიხი": მაგალითად, ჩვენგან განსხვავებით, თქვენ გაქვთ რკინის გუმბათის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა. არ "ემთხვევა" რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაც, ოკუპაციაში ისრაელს პალესტინა აქეთ სდებს ბრალს. პალესტინისადმი სიმპათიით განწყობილები ხშირად გასული საუკუნის 60-იანი წლების რუკისკენ იშვერენ თითს იმის საჩვენებლად, თუ როგორ შემცირდა პალესტინის ტერიტორია ისრაელთან კონფლიქტის ხარჯზე...

- მადლობა ღმერთს, რომ რკინის გუმბათი გვაქვს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ციდან ჩამოვარდა. მის გასაუმჯობესებლად დიდი ძალისხმევა იხარჯება. არ ვაპირებ, თავი მოგაჩვენოთ, თითქოსდა ისრაელი სუსტია. ახლო აღმოსავლეთში თავის გადარჩენა თუ გსურს, ძლიერი უნდა იყო. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის აგრესორი, დამისახელეთ, როგორ მოიქცეოდა ნებისმიერი სხვა ქვეყანა, მათი ქალაქები ათი წლის განმავლობაში, დროგამოშვებით, რომ დაებომბათ? ალბათ, იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ - დაიცავდა თავის მოსახლეობას, უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას.

მათ, ვინც ისრაელს აგრესორად მიიჩნევენ, ნება მიბოძეთ, შევახსენო, რომ 21 წლის წინ ოსლოში სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პალესტინელთა ცნობილმა ლიდერმა, იასირ არაფატმა, ცნო ისრაელი როგორც ქვეყანა და ქვეყნის სახელით დადო პირობა, რომ პალესტინა არ გააგრძელებდა ტერორის გზას. დღეს კი თავადაც ხედავთ, როგორ ასრულებს პირობას პალესტინური მხარე.

რაც შეეხება ოკუპაციას, რა ლოგიკით ვართ ოკუპანტები, მაშინ როდესაც 2005 წელს ჩვენივე ინიციატივით დავცალეთ ღაზა და პალესტინელებს გადავეცით? ჩვენი მიზანი არ არის ღაზას სექტორის ხელში ჩაგდება, მეტიც, ორეროვან სახელმწიფოზე მოლაპარაკებისას ისრაელი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ღაზა პალესტინის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

- პალესტინელებს სხვა მოთხოვნებიც აქვთ: ლტოლვილთა დაბრუნება, იერუსალიმის ერთობლივად გაკონტროლება...

- რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნების უფლებას, რასაც პალესტინური მხარე მოითხოვს, ეს არღვევს ორეროვანი სახელმწიფოს კონცეფციას: ორეროვან სახელმწიფოს მოდელში ისრაელი არის ებრაელი ხალხის სამშობლო და პალესტინა კი პალესტინელი ხალხისა. ეს არ ნიშნავს, რომ ისრაელში სხვა ეროვნების ხალხს არ შეუძლია იცხოვროს. ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, მაგრამ 8-მილიონიან ქვეყანაში ორმილიონიანი სხვა ეროვნების ხალხის ნაკადის განსახლება გამორიცხულია. რაც შეეხება იერუსალიმს, ბიბლიოთეკები სავსეა სხვადასხვაგვარი ფორმულებით, პროექტებითა და ინიციატივებით, თუ როგორ უნდა მოგვარდეს იერუსალიმის საკითხი, იქნება ეს ტერიტორიების გაზიარება, დათმობა თუ დასახლება და ა.შ. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ: იერუსალიმის საკითხი ურთულესია და არა მგონია, ახლანდელი მოვლენების ფონზე მისი გადაწყვეტა მოხერხდეს. სხვა რომ არაფერი, ამისთვის საჭიროა მხარეებს შორის არსებობდეს ნდობა და ამ ნდობაზე დაფუძნებული დიალოგი, იმას კი, რაც დღეს ხდება, დამეთანხმებით, ძნელია დიალოგისთვის შესაფერისი გარემო უწოდო.

ვაჟა თავგერიძე
„კვირის პალიტრა“

წარსულის სურათები

დოკუმენტური მოთხრობა

არონ კრიხელი

თავი მეოთხე



გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „მ“ №7,8.

ცხინვალელების სალოცავში ხახამი იატაკზე ფეხმორთხმულ ბიჭუნებს თორას ასწავლის. დარბაზის სარკმლებიდან ჩამავალი მზის ალმაცერი სხივები ეხალს მისდგომია და ფარჩის ფარდას ათასფერად აფერადებს.

სალოცავის ეზოში დიდი ფუსფუსია. ერთ კუთხეში აბრამ პაპისმედოვს დიდი სასწორი უდგას. ცხინვალელი ებრაელების მიერ მოტანილ ფქვილს სწონის და მომტანებს ქვითრებს აძლევს. აწონილი ფქვილი ზებო დავარაშვილს ტომრებით ფურნეში მიაქვს, რომელიც ეზოშივეა მოთავსებული და საიდანაც კვამლი და ხმაური გამოდის. ფურნეში უკვე ორი თვეა ფესახისათვის მაცას აცხობენ. თეთრ თუნუქგადაფარებულ ოთხ მაგიდაზე თუნუქით მოპირკეთებული ჯოხებით ცომს ზელენ და აბრტყელებენ. ამ პროცესს თითქმის ნახევარ საათს უნდებიან, რეზინად ქცეულ ცომს სპეციალურ მანქანაში რამდენჯერმე ატარებენ, საიდანაც ძალიან გრძელ მაგიდაზე ქაღალდის სისქის ცომი ეფინება. ამ ფენას მჭრელი დანით ჭრიან, თხელ ჯოხებზე ალაგებენ და მეფურნე ხაიმას აწოდებენ, რომელიც, თეთრი ხილაბანდით თავგაკრული, ციბრუტივით დახტის და მიწოდებულ ჯოხებს თვალის დახამხამებაში ფურნეში ყოფს, იქიდან ცარიელ ჯოხებს დაქანებულ ყაფაზებზე ყრის, მერე საჩქაროდ ხის გრძელი ნიჩბით გამომცხვარი მასა გამოაქვს ფურნიდან და გვერდზე მდგომ ხაიმ მანაშეროვს უყრის, რომელიც მას კედელზე გაკეთებულ ყაფაზებზე გასაცივებლად ალაგებს.

სალოცავის ქვედა სართულზე დავით ბააზოვი ცხოვრობს. შუშაბანდში სკამებზე ჩამომჯდარნან გერცელი და ხაიმ ბააზოვი, მიშა კაკიტელაშვილი, მიშა თავდიდიშვილი, პიზო ფიჩხაძე. ისინი დიდი გულმოდგინებით ყურს უგდებენ შუაში მჯდომი ჩია კაცის ლაპარაკს. ჩია კაცს ცხვირზე პენსნე აქვს გაკეთებული და საუბრის დროს პენსნეს ხან იხსნის და ხან იკეთებს. მას ნაყვავილარი სახე აქვს და ქრონიკული სურდოს გამო ცხვირში ხრუტუნებს.

- ეფიმ ისაევიჩ! - მიმართავს გერცელი - რა პერსპექტივა აქვს თბილისში ქართველ ებრაელთა საშუალო სკოლის ჩამოყალიბებას?

- ამ საკითხზე, თქვენი დავალებით, საუბარი მქონდა მამია ორახელაშვილთან, რომელმაც სრული დახმარება აღმიქვა. მომიწყო აუდიენცია ვანო სტურუასთან და ფილიპე მახარაძესთან. მთავრობა წინააღმდეგი არ არის, თბილისში ებრაელთათვის ცალკე სკოლა გავხსნათ. ოღონდა მეცადინეობა ქართულად უნდა მიმდინარეობდეს.

- ებრაელი ენის სწავლების შესახებ რას გვეტყვით?

- ამ საკითხმა დიდი დავა გამოიწვია. ჯერ ერთი, ებრაელი ბავშვები მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და, აქედან გამომდინარე, მათი დედაენა ქართული ენაა. დიდი ბრძოლა დამჭირდა მთავრობისათვის შემეგონებინა, რომ ებრაელებს თავისი დამწერლობა, გრამატიკა და სალაპარაკო ძველი ებრაული ენა გააჩნიათ. - ეს მკვდარი ენააო, – მითხრეს მათ, – როგორც ძველი ბერძნული ენაო, რომელსაც მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან, ისიც მხოლოდ ძველი დამწერლობის შესასწავლადო! ჩვენ არ დაუშვებთ, რომ რელიგიის მესვეურები – ხახმები საბჭოთა სკოლებში გაპარპაშდნენო! აბა, ნახეთ, რომელ საბჭოთა სკოლაში ასწავლიან ამჟამად საღვთო სჯულსო, მღვდლები დიდი ხანია სკოლებიდან გავაძევეთო! ეხლა თქვენ გინდათ, რომ ხახმებს ოფიციალურად დავაწყებინოთ ებრაელი ბავშვებისათვის საღვთო სჯულის სწავლაო!

- ჩვენ ხომ მათთვის სალაპარაკო ებრაული ენის და გრამატიკის შესწავლას ვაპირებთ, – მიუგო გერცელმა.

- მე ვუთხარი. ხახმები ჩვენ თვითონ გვძულს,ისინი უმეცრები და გაუნათლებლები არიან-მეთქი. თუ ერთა თვითგამორკვევაა, ჩვენც ქართველ ებრაელებსაც გვსურს გვქონდეს ჩვენი,როგორც ეროვნების სახე-მეთქი. გვყავს ახალგაზრდები, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული და ძველი ებრაული ენა, დამწერლობა და გრამატიკა ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი. ამას თვითონ ებრაელი ხალხი მოითხოვს და ხალხის მოთხოვნას, მე მგონი, უყურადღებოდ არ დატოვებთ-მეთქი. ბოლოს დამთანხმდნენ, მოითხოვეს, ხალხის მოთხოვნა ქაღალდზე გააფორმეთ და წარმოგვიდგინეთო.

- ეს ძალიან სასიხარულო ამბავი მოუტანია ბატონ ეფიმ ისაევიჩს, - თქვა მიშა თავდიდიშვილმა და მღელვარებისაგან პაპიროსი გააბოლა, - მგონი ეშველება ჭაობში ჩაფლულ ჩვენს ხალხს და ცოდნის წყაროს დაეწაფება.

-დიდებულია! - ამოიკნავლა პიზო ფიჩხაძემ და თავისი გრძელი ცხვირით ჰაერი დაყნოსა, ცხვირში ოთახიდან გამოსული ცხელი საჭმლის სუნი ეცა და კინაღამ გული შეუღონდა, მთელი დღე არაფერი ეჭამა და ნერწყვის ყლაპვით განაგრძო. - საინტერესოა, ჯამაგირს თუ მოგვცემენ?

- სკოლა ხომ სახელმწიფოს გამგებლობაშია. ამიტომ ჩვენც სახელმწიფო მუშაკები ვიქნებით და ჯამაგირიც ისეთი გვექნება, როგორც სხვა სკოლებშია, - უპასუხა ეფიმ ისაევიჩმა.

- სკოლის საკითხი თეორიულად მოგვარებულია, მაგრამ პრაქტიკულად ბევრი არის გასაკეთებელი: სკოლისათვის ბინაა საჭირო. მთავრობას ბინის მოცემა არ შეუძლია, ჩვენ უნდა დავიქირაოთ, - თმაზე ხელის გადასმით დაიწყო გერცელმა, - ბინას ფული უნდა, რომელიც ჩვენ არა გვაქვს. მე შეგულებული მაქვს ჩვენს უბანში, კათოლიკების ქუჩაზე, ცხრა ნომერში არტაშა სააკოვის სახლის ზედა სართული, იქ რვა ოთახია, დიდი დარბაზი აქვს და, რაც უფრო საგულისხმოა, შიგ არავინ ცხოვრობს. არტაშა მოგვაქირავებს. ვინ იკისრებს ფულის გაღებას სკოლისათვის? არც ცხინვალელთა და არც ახალციხელ ებრაელთა საზოგადოების მდიდრები ფულს ჩვენ არ მოგვცემენ. ფარლაგაშვილი, შათარაშვილი, გუჯიაშვილი, დავარაშვილი და მანაშეროვი კაპიკსაც არ გაიღებენ ამ საქმისათვის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ საქმეში ფულს ვერ მოიგებენ. მეორეც იმიტომ, რომ ქართული სკოლა ებრაელთათვის ეს ხომ იგივე რელიგიის საწინააღმდეგო აქციაა. საჭიროა, თავი მოვუყაროთ უფრო პროგრესულ ახალგაზრდა ებრაელ ვაჭრებს და მათ ვთხოვოთ ფული, ჩვენ ხომ მათ შვილებს უნდა ვასწავლოთ. ფაშა კრიხელი, იეხისკიელ ჯინჯიხაშვილი, ილია ტეცოშვილი და ხაიმ ჯანაშვილი ფულზე უარს არ გვეტყვიან.

- როგორ უნდა მოუყაროთ თავი ამ ხალხს?

- ზოგიერთის შვილები მამაჩემთან ებრაულ ენას სწავლობენ. ბავშვებს დავაბარებთ, რომ ხვალ დილისათვის მამები მოიყვანონ, მათ მე მოველაპარაკები.

- მათი ფულები არ გვეყოფა. სხვა ღონეც უნდა ვიღონოთ.

- ჩვენ შეგვიძლია ებრაელთა დრამატული წრე ჩამოვაყალიბოთ და პიესა დავდგათ.

- რომელი ებრაელი მოვა თეატრში? ებრაელს ქუდი რომ შეუგდო თეატრში, მის გამოსატანათაც არ შემოვა!

- ჩვენ ებრაულ პიესებს ებრაულ ენაზე დავდგამთ.

- ებრაელთა საზოგადოებაში ათმა კაცმაც კი არ იცის ძველი ებრაული ენა. თორას თუ კითხულობენ, მათ მხოლოდ კითხვა იციან, ისიც, შეზღუდული ლექსიკით. წმინდა სალიტერატურო ენა მათთვის მიუწვდომელია.

- მალე ფურიმი იქნება, ეს ხომ ებრაელთა წმინდა რელიგიური დღესასწაულია, - განაგრძო გერცელმა. - ამ დღისათვის ებრაელები ლოცვაში მეგილათ ესთერს კითხულობენ, რომელშიდაც ჩაწერილია ესთერა მალქას და მორდეხაის ისტორია, ებრაელთა განთავისუფლების ისტორია სპარსეთის მეფის, ახაშვეროშის ტყვეობიდან. მე ეს ჰაგიოგრაფიული მხატვრული ნაწარმოები გადმოქართულებული და პიესად მაქვს ქცეული. ამ დადგმაზე ხახმებიც კი მოვლენ და ეს სწორედ მისწრება იქნება იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელიც ჩვენა გვაქვს დასახული. თეატრს ერთი ღამით დავიქირავებთ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ აუქციონს გავმართავთ და ყველა ხარჯის შემდეგ საკმაო თანხა დაგვრჩება.

- მსახიობებს სად ვიშოვით?

- მსახიობები საძებარი არ არის. ჩვენს ახალგაზრდობაში ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც სიხარულით იკისრებენ ამ საქმეს, ილია დავითაშვილი, მერკო წითლაშვილი, ცები კანზაველი, მენაშ იეგისკელაშვილი, ილია პაპისმედოვი, მორდეხ დანიელოვი, მე, ხაიმი, თქვენ, ორივე მიშა და შენ - ბენო ფიჩხაძე. ქალებიდან დინა დავარაშვილი, რივა ჟელეზნიაკი და ლიზა ბატაშვილი. აზიური ორკესტრიც მეირ გორელაშვილისა და პაშა ბახანოვის მეთაურებით იქნება, ჩვენ წარმოდგენაზე რომ უსასყიდლოდ დაუკრავს. მოწინავე ახალგაზრდები დღეისათვის ბევრი გვყავს. მხოლოდ მათი ხელმძღვანელობაა საჭირო!

- სად შეკრიბავ ამ ხალხს? სად ჩაატარებთ რეპეტიციას? - ამოოხვრით თქვა ეფიმ ისაევიჩ კოკიელოვმა.

ამ დროს ვიღაცამ კარებზე მოაკაკუნა. ხაიმ ბააზოვი წამოდგა და კარი გააღო. კარებთან შავტუხა თხელი ბიჭი იდგა, რომელსაც გაქუცული პალტოს ჯიბიდან ქაღალდების შეკვრა მოუჩანდა. თავზე ქუდი ჩამოფხატოდა, შავი გრუზა თმა ქუდში ვერ ჩატეოდა და საფეთქლებიდან კიკინებივით გამოსჩროდა. ცოცხალ, მკვირცხლ და ნათელ თვალებს მერცხლის ფრთებივით გადმოფენოდა ყარაჩი წარბები. - გერცელი მინდაო, - იკითხა. გერცელმა სახეგაბრწყინებულმა ჰკითხა:

- რა იყო, მორდეხ, რაზე შეწუხებულხარ?

- გერცელ! რო დამავალე, მოწაფეების სია შემიდგინეო, მოგიტანე.

- შემოდი სახლში, მორდეხ, - მიიწვია გერცელმა.

მორდეხი მორიდებულად შევიდა შუშაბანდში. თვალი რომ მოჰკრა გერცელის ამხანაგებს, სირცხვილით სახე აელეწა და ფეხი წინ ვეღარ გადადგა.

- გაიცანით! - სიცილით თქვა გერცელმა, - ეს მორდეხ დანიელოვია, ჩვენი მომავალი აინშტაინი, ლაშონა კოდეში ზედმიწევნით იცის და მათემატიკაში ვერავინ შეეჯიბრება.

- მათემატიკოსი ხარ, ბიჭო! - ღიმილით მიმართა ეფიმ ისაევიჩმა. - აბა, ჩემკენ მოდი, ერთი თეორემა, ხუთი წელიწადი გადის, ვერ ამომიხსნია, იქნებ შენ ამოხსნა.

- თეორემები მაგასთან ჯერ გამწყრალად არიან, - შეეშველა გერცელი, - ეგ ჯერ არითმეტიკის ოთხი განტოლების მეფეა. რაც გინდა, ჰკითხე გამრავლებაში ან გაყოფაში, მაშინვე გეტყვის პასუხს.

- გამრავლება და გაყოფა ხომ ყველა ისრაელმა იცის! - ჩაიდუდღუნა ბენომ.

- ისრაელებმა მხოლოდ სავაჭრო ანგარიში იციან, - შეუტია მიშა კაკიტელაშვილმა. მორდეხი შეცბუნებული იდგა, სირცხვილისაგან ოფლი დაასხა, ფეხები უკანკალებდა.

- აბა, მითხარი, რამდენი იქნება 7963 გამრავლებული 4872-ზე? - შეეკითხა ეფიმ ისაევიჩი.

- მორდეხმა თავი მაღლა ასწია, მასზე მიშტერებულ ახალგაზრდებს გადახედა და თქვა: 38795736.

ეფიმ ისაევიჩმა პასუხი ქაღალდზე დაწერა და გამოანგარიშებას შეუდგა.

- სწორია1 - უცებ წამოიყვირეს ეფიმ ისაევიჩმა და ფიჩხაძემ.

- რამდენი იქნება, - შეეკითხა ისევ წუთის შემდეგ ეფიმ ისაევიჩი, რომელსაც ქაღალდზე რაღაც ჩანაწერი გაეკეთებინა, - 26731293 გაყოფილი 3859-ზე? ხუთი წუთის შემდეგ მორდეხმა უპასუხა - 6927.

- ფენომენალურია! - წამოხტა ეფიმ ისაევიჩი. მორდეხთან მიირბინა და გადაკოცნა, - შესანიშნავია! - საიდან იცი, ბიჭო, ანგარიში?

- თვითონ ვისწავლე. მე რა, შიმშონი ჩემზე კარგად ანგარიშობს, - უპასუხა მორდეხმა.

- რომელი შიმშონი? –შეეკითხა ბენო.

- შიმშონ გორელაშვილი.

- მახსოვრობის უდიდესი უნარი გქონია, შვილო, მთელ ხალხში გამორჩეული ყოფილხარ.

- მე რა. აბა, შიმშონი ნახეთ, ან აბრამ ოსიაშვილი. იმან ხომ მთელი სეფერთორა ზეპირად იცის. ისეთი ხმა აქვს, როგორც ბულბულს...

- ცოდვა არ არის, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა სამშობლოს არ გამოადგეს? ცოდვა არის, რომ ისინი მოკლებულნი არიან საერთო განათლებას! - დანანებით თქვა ეფიმ ისაევიჩმა.

- რამდენი მოწაფეა სიაში, მორდეხ? - შეეკითხა გერცელი.

- სიაში ორმოცდა რვა მოწაფეა. აქედან ოცდაერთმა ქართული წერა-კითხვა კარგად იცის და ლაშონა კოდეშიც ცოტაოდენად ესმით. თვრამეტმა კაცმა ქართული წერა-კითხვისა და ლაშონა კოდეშის გარდა ცოტა რუსულიც იცის და არითმეტიკაშიც ერკვევა. დანარჩენმა თორული ასოების მეტი არაფერი იციან.

- ამრიგად, ჯერ-ჯერობით სამი კლასის მოწაფეები გვეყოლება. არაუშავსრა. საკმარისია. მორდეხ. ნუ დაიზარებ და საჩქაროდ გაიქეცი ცები კაზნაველის ბინაზე. იგი ახლა სახლში იქნება. უთხარი, რომ ეხლავე ჩემთან მოვიდეს. ხომ იცი, მისი სახლი? ნორაშენის ქუჩაზე ცხოვრობს.

- კი, ვიცი. ფალაგაშვილის სახლში ცხოვრობს, სამ ოთახიანი ბინა აქვს.

მორდეხი ციბრუტივით შემოტრიალდა და ცების დასაძახებლად გაიქცა.

- რეპეტიციებს ცების სახლში ჩავა-

(გაგრძელება მე-7 გვერდ ზე)

დიდებული მხატვრის გახსენება

ბესო მიხელაშვილი

ბესო მიხელაშვილის ფოტოალბომიდან

ბესო მიხელაშვილი

დიდებული მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის საქართველოში თითქმის არ ვიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლიდან სამხატვრო აკადემიის პირდაპირ ვცხოვრობდი.

მხოლოდ ისრაელში გავიგე, მის შესახებ, როცა ვნახე, ნახატები და ნამუშევრები, თუ როგორი მხატვარი იყო იგი.

მიშა ჯანაშვილს (იგივე მორდეხაის) თბილისში ჩემი მეგობრის, ცნობილი ბიზნესმენის — შალვა ბენიამინის ძე ბაბალაშვილის შვილის, ძალიან ალალი და კარგი საქმოსნის, ალიოშა ბაბალაშვილის ოჯახში შევხვდი. შალვა ბაბალაშვილს ბინა ათარბეგოვის ქუჩაზე, ბავშვთა საავადმყოფოს პირდაპირ ჰქონდა და მეუღლედ ჰყავდა მიხეილ დავარაშვილის ქალიშვილი. ალიოშას იმჟამად კი ჰქონდა მისი ქალიშვილის, ლორენას დაბადების დღე, მოწვეული ჰყავდა მეგობრების ვიწრო წრე, ოჯახის უფროსის ალიოშა ბაბალაშვილის თხოვნით, ამ სუფრაზე მე მათამადეს.

ჩემი თამადობით აღფრთოვანებულმა, დიდებულმა მხატვარმა მიშა, იგივე მორდეხაი ჯანაშვილმა, იქვე სუფრაზე მითხრა მე შენ, აუცილებლად დაგხატავ.

გავიდა რამდენიმე ხანი და მიშა-მხატვარი თბილისის აეროპორტში შემხვდა, მოსული იყო საბაჟოში, ეწადა გაერკვია ისრაელში წამსვლელთა უფლებები — თუ რისი გატანა შეეძლოთ და რისი — არა. აი, იქ მითხრა მორდეხაიმ:

— არავის ვალი არ მიმყვება, შენს გარდა. აქ ვერ მოვასწარი: ისრაელში, აუცილებლად დაგხატავ.

მე კი აეროპორტში ჩემს მეგობრებთან ერთად მისული ვიყავი რესტორანში სასადილოდ, რადგან მე აეროპორტთან ახლოს, ფაბრიკაში ვმუშაობდი. ჩვენთან ერთად იყო ჩემი მეგობარი კაცი, მომავალში კი, საქართველოს „სოხნუთის“ უფროსი მიშა კრიხელი, რომელიც ჩვენს ფაბრიკაში დიდებულმა პიროვნებამ — შალვა ფილხაზის ძე სეფიაშვილმა მოიყვანა. მიშა კრიხელი, კარგი და დიდებული ინჟინერი გახლდათ, საშუალო სკოლის „ოქროს მედალოსანი“ — უძვირფასესი ადამიანი. იქ ამ სადილობის დროს, მასთან მოვიდა თინა კრიხელი-სეფიაშვილი, რომელიც შალვა ფილხაზის ძის ძმის შვილი გახლდათ. ჩვენს შორის იყო, იმ პერიოდში ჩვენთან მომუშავე, ბესო აბრამის ძე ოჩერაშვილი, რომელმაც დიდი, დაუღალავი შრომის შემდეგ, ჩვენს ფაბრიკაში, ერთი ისეთი დიდებული სიახლე დანერგა — ქალის და მამაკაცის ხაოიანი შარფები რომელმაც, დროებით შეყოვნებული ჩვენი საქმიანობა, სერიოზულად წინ წასწია. გამორჩეულ ფაბრიკად გახადა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფაბრიკებს შორის. რა სამწუხაროა, რომ ასეთი ძვირფასი ადამიანი საავტომობილო კატასტროფაში, სრულიად მოულოდნელად დაიღუპა. ამ გამოგონების პერიოდში ბესო ოჩერაშვილს გვერდით ედგა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი — ბელა პეტრეს ასული ოფენგენნდენი — გრუზმანი, რომელიც დღეს ამერიკაშია, ეს იყო და ეს ჩემი შეხვედრა მიხეილ (მორდეხაი) ჯანაშვილთან, მერე იგი ისრაელში გამოემგზავრა და გარდაიცვალა კიდეც, მაგრამ აქ მისი ნახატები რომ ვნახე, დავრწმუნდი, თუ რაოდენ დიდებული მხატვარი ყოფილა ჩვენთან სუფრაზე.

დღეს ძალიან მახარებს ისრაელში გამოფენებზე, თუ სხვადასხვა პირებთან მის ნახატებს რომ ვხედავ. რამდენიმე ნახატი თვალწინ მიდგას.



ბესო მიხელაშვილი, ილიკო სუხიშვილი



ბესო მიხელაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე

ინსაიტი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აარონ მდინარაძე

რა არის მთავარი მიცვები, რომელიც უნდა შევასრულოთ როშ–ა–შანაში– 1 და 2 თიშრეს?

როშ–ა–შანა არის სასამართლოს დღე,საღამოს ლოცვის შემდეგ ისრაელები ერთმანეთს უსურვებენ კარგ განაჩენს, სადაც ჩაწერილი იქნებიან ბედნიერ ცხოვრებაზე.

თორა გვავალდებულებს როშ–აშანაში შოფარის დაკვრაზე (ვისაც არ შეუძლია, მოსმენაზე), ეს მიცვა სრულდება დილის ლოცვის დროს და უნდა მოვისმონოთ შოფარის 101 ხმა სეფარადული ტრადიციის მიხედვით.

და რა არის ამ დროს მთავარი, რაზე უნდა ვიფიქროთ? გვასწავლიან ჩვენი ხახამები, რომ უნდა ვიფიქროთ თეშუბაზე.

და რა არის თეშუბა – ქართულად ამ სიტყვას არ აქვს შესაფერისი თარგმანი, და ალბათ შეგვიძლია გამოვხატოთ მინიმუმ 2 სიტყვით – მონანიება და დაბრუნება (ჰაშემის გზებზე)

ვნახოთ, რას წერს ამის შესახებ რამბამი:

თეშუბა რომ იყოს მიღებული, ადამიანმა უნდა მოინანიოს (წაიკითხოს სპეციალური მონანიების ლოცვა), სიტყვიერად აღიაროს და მოყვეს ჰაშემის წინ რა ცოდვაც ჩაიდინა, გამოთქვას თავის წუხილი ჩადენილ ცოდვასთან დაკავშირებით, მოინანიოს, დადოს პირობა რომ აღარ გაიმეორებს დანაშაულს და ითხოვოს პატიება.

ვიდუი – მონანიება – ეს არის პირადი საუბარი ჰაშემთან და არ არის აუცილებელი, რომ ეს იცოდეს კიდევ ვინმემ, განსაკუთრებით ადვილია თეშუბის გაკეთება ელულის თვეში, მაგრამ შესაძლებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში.

რამბანის დეიდაშვილი – რაბეინუ იონა თვლის რომ თეშუბის გაკეთება უფრო რთული და ვრცელი პროცესია და მას ჩამოყალიბებული აქვს თავის წიგნში – „თეშუბის კარები“ – თეშუბის 20 პრინციპი

თეშუბის პრინციპები რაბეინუ იონას მიხედვით:

1 – სინანული ჩადენილის გამო, 2 – დანაშაულის მოცილება, 3 – დარდიანობა, 4 – მწუხარება, 5 – მოუსვენრობა, 6 – სირცხვილი, 7 – თავმდაბლობა მთელი გულით და თავის დამცირება, 8 – შეგუება, რომელიც გამოიხატება ქცევაში, 9 – გაანადგუროს თავის თავში მატერიალურობისკენ ვნება, 10 – შეცვალოს თავის საქციელი იმ საკითხში, რაც დაარღვია, 11 – თავის ქცევების შესწავლა, 12 – გამოიკვლიოს, გაიგოს და შეისწავლოს რა სასჯელია ყოველ დანაშაულზე, 13 – ჩათვალოს ყველა დანაშაული მძიმე დანაშაულად, 14 – მონანიება, 15 – ლოცვა, 16 – გაფუჭებულის გამოსწორება, 17 – მისდიოს ქველმოქმედებას და სიმართლეს, 18 – მისი დანაშაული ყოველთვის იყოს მის თვალწინ, 19 – შეაჩეროს დანაშაული, როგორც კი შესაძლებელია, 20 – რამდენადაც შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა სხვებზე, რომ გააკეთონ თეშუბა

მოკლედ განვიხლოთ რამდენიმე მათგანი:

სინანული ჩადენილზე – ადამიანი უნდა დაფიქრდეს და მიხვდეს, რომ ჰაშემის მიტოვება ცუდია, დაფიქრდეს და იქნებ, მივიდეს მის გულამდე აზრი – დასჯის და დანაშაულზე პასუხისგების. ჰქონდეს დარდი თავის არასწორ საქმეებზე და იფიქროს: რა ჩავიდინე? რატომ არ შემეშინდა ჰაშემის, მისი სამართლის და სასჯელის? ბოროტმოქმედს ხომ სჯიან მრავალჯერადი დარტყმებით.

დავაზიანე ჩემი სული, ჩემმა ცუდმა საწყისმა მე დამჩაგრა. მე ვცხოვრობ ისეთ დონეზე, რომელიც ცხოველსაც არ შეესაბამება, მე დავეცი უფრო ქვევით, ხარმა იცის თავის ბატონი, და ვირმაც იცის ადგილი სადაც თავისი ბატონი აჭმევს საჭმელს – და მე კი დამავიწყდა ჩემი ბატონი და ვფიქრობდი, რომ ვარ თავისუფალი მისგან, ვიღებდი სიამოვნებას თაფლისგან და არ ვფიქრობდი ჩემი არსებობის დასასრულზე, ვქურდობდი და ვყაჩაღობდი, ვჩაგრავდი ღარიბებს, არ ვფიქროდი გარდაცვალების წუთზე, რომელიც არ დატოვებს ჩემი სულისგან არაფერს, გარდა ტანისა და საფლავისა.

მონანიება – წერია თორაში – (ვაიკრა 5:5) – „და აღიაროს ის, რაც ჩაიდიანა“ და უნდა აღიაროს როგორ თავის აგრეთვე წინაპრების ცოდვებიც, იმიტომ რომ შეიძლება ამისთვისაც ისჯებოდეს, თუ მისი საქცელი გავს წინაპრების საქციელს, რადგან ასევე წერია (ვაიკრა 26:40) – „მაშინ აღიარებენ თავის და თავიანთი მამების დანაშაულებს“

ლოცვა – ილოცე ჰაშემთან და თხოვე,რომ გაპატიოს და გააბათილოს შენი დანაშაულები.

დავიდ ა მელეხი ასე ლოცულობდა ჰაშემთან: მომაცილე ცოდვა ჩემს მიერ ჩადენილი და ამ საქციელიდან გამასუფთავე. არ გამაგდო და შენი წმინდა სული არ წამართვა. შენი სიკეთის სულით დამეხმარე მე.

და მუდმივად თქვას ირმიაუ წინასწარმეტყველის სიტყვები: „დამაბრუნე და მე დავბრუნდები, იმიტომ, რომ შენ ჩემი ჰაშემი ხარ“ (ირმიაუ 31:17).

ჩვენი ხახმები ამბობენ, რომ არის 24 რამ, რაც ადამიანს ხელს უშლის განწმენდასა და ღვთისაკენ მიბრუნებაში: ჭორი, ავი ენა, გაბრაზება, ცუდი აზრები, ვინც უერთდება ბოროტებს, ვინც მიირთმევს საჭმელს, რომელიც არ ჰყოფნის მასპიმძელს, ვინც აკვირდება მისთვის აკრძალულ ქალს, ვინც ყიდულობს მოპარულს, ვინც ფიქრობს ახლა შევცოდავ და მერე მოვინანიებ და მეპატიებაო, ვინც იღებს პატივისცემას ახლობლების ხარჯზე, ვინც დაშორდება ჯამაათს, ვინც არცხვენს თავის წინაპრებს, არცხვენს თავის მასწავლებლებს, წყევლის თავის ერს, ხელს უშლის ხალხს რომ შეასრულონ მიცვები, აცდენს თავის ახლობლებს, სარგებლობს ღარიბის გირაოთი, იღებს ქრთამს, რომ გამოიტანოს არასწორი განაჩენი, პატრონს არ უბრუნებს ნაპოვნს, თუ შვილმა გადაუხვია გზიდან, არ აჩერებს მას, მიირთმევს ღარიბების, ქვრივების და ობლებისგან მოპარულს, უარყოფს ხახმების სიტყვებს, ეჭვაინობს უდანაშაულოებზე, დასცინის მიცვებს.

ასევე ამბობენ ჩვენი ხახმები: გახსოვდეს, თუ შენ დაინახე, რომ ვინმემ შესცოდა, მეორე დილით არ უნდა იფიქრო მასზე ცუდი, უნდა იყო დარწმუნებული, რომ მან უკვე მოინანია.

ამბობს შლომო ჰა მელეხი: (კოელეთ – 7:20) არ არის დედამიწაზე ცადიკი, რომელიც აკეთებს სიკეთეს და არ შეეცოდოს

მთავარია ადამიანი ხვდებოდეს, რომ სცოდავს და უნდოდეს ამის მონანაიება და ჰაშემის გზებზე დაბრუნება, მაგრამ თუ ეუბნება მონა თავის ბატონს – ყველაფერს შევასრულებ, რასაც მიბრძანებ–ერთი რამის გარდა – ეს ნიშნავს, რომ მან მოიცილა მორჩილების უღელი და აკეთებს რასაც უნდა. ის არასდროს არ გააკეთებს ნამდვილ თეშუბას, იმიტომ რომ ის ირჩევს და აკეთებს იმას, რაც მოსწონს, ან ესმის და არ აკეთებს იმას, რასაც ვერ ეგუება,ნამდვილი თეშუბა კი არის უპირობოდ იმის შესრულება რასაც ჰაშემი გვეუბნება – გვესმის თუ არ გვესმის, ვიგებთ თუ ვერ ვიგებთ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვეგუებით თუ ვერ ვეგუებით.

დაგავამადლიანოს ჰაშემმა სწავლაზე, შესრულებაზე და ნამდვილ თეშუბაზე.

შანა ტოვა ვე მეტუკა – გილოცავთ 5775 წელს!

ტარებთ. მას კარგი ბინა აქვს და მშობლებიც კულტურული ყავს, ხელს არ შეგვიშლიან. მთავარია მსახიობებს როლები დავუნაწილოთ. ისინი საჩქაროდ დაიზეპირებენ... სუფლიორი არ დასჭირდებათ.

- შენი ოჯახი ამოწყდა, ფურიმის მადლით, ამენ ეირასონ. ოცდაათი გირვანქა ფქვილი ძლივს ვიყიდე. შენ კი იძახი, ოცდახუთი გირვანქაო. ისე გიცოცხლა ცოლშვილმა, შე განაბო, როგორც ეგ ოცდახუთი გირვანქა იყოს! სად არის გაბაი, სად არის ხახამ დავითი, შენ გაგიწყრა დღევანდელი გამობრძანებული სეფერთორა, შე ლივიაიანო, შე ხაზირო შენა! - ყვირის ეზოში მოხუცებული ებრაელი და ფქვილის მწონავ აბრამ პაპისმედოვისაკენ მუშტებით მიიწევს.

შუშაბანდიდან გერცელი და მისი ამხანაგები გამოვარდნენ. ეზოში ხალხი მოგროვილიყო და სეირს უცქერდა. აბრამ პაპისმედოვი მოჩხუბარ ებრაელს ქოქოლას აყრიდა, ჟღალა წვერზე გამუდმებით ხელს ისვამდა და გაჰყვიროდა:

- მომშორდი აქედან, გეუბნები, დაიმში არ შემიყვანო, შე ყაბოდაზარა, შენა, ქურდობასაც რომ მაბრალებს ეს თვითონ ქურდი და სალახანა, - თან ცალი ხელით გირს უქნევს, - წადი, თორემ, გირს დაგარტყავ მაგ გამოტვინებულ თავში.

- ყესავი ხარ, შე გასახერემებელო, შენა, ნამდვილი ყესავი!

ლოცვიდან ცხინვალელების გაბაი ოქრო დავარაშვილი გამოვიდა. საჩქაროდ ჩამოირბინა კიბეზე, მოჩხუბრებთან მიიჭრა და შეუყვირა:

- ხმა ჩაიწყვიტეთ, ეხლავე, თორემ, თორის მზემ, ორივეს ლავაშებივით გაგაბრტყელებთ.

აბრამ პაპისმედოვმა გირი სასწორზე დადო, ხალხმა ოქროს გზას მისცა. ოქრო მოხუცებულ ებრაელს მიბრუნდა და თვალების გადმონათებით უთხრა: - რას გაჰყვირიხარ. ესღა უნდათ ჩვენს გარაშაყებულ ახალგაზრდობას, - და ხელი გერცელისა და მისი ამხანაგებისაკენ გაიშვირა. - თუ რამე შეცდომაა, კანტორაში ამოდი და იქ გავარკვევ.

- კანტორაში რომ ამოვიდე, ეს ცეფარდეაყი ჩემს ფქვილს სხვის ფქვილში აურევს და ჩემი ხუთი გირვანქა ფქვილი დამეკარგება. აჰა, კვიტანცია, ნახე, ოცდახუთი გირვანქა გამომიწერა მაშინ, როცა ჩემი ფქვილი ოცდაათი გირვანქაა.

- აბრამი ჯამაათისგანაა არჩეული ფქვილის მწონავად, ძალზე პატიოსანი კაცია, მაგას როგორ იკადრებს.

- მაგის პატიოსნება ეხლავე გამოჩნდება. აბა, ჯერ ფქვილი აწონეთ, ავწონოთ და მერე ილაპარაკე მაგის პატიოსნების ამბავი!

- აბრამ, მიეცი ფქვილი უკან, წავიდეს და ახალციხელების ლოცვაში გამოაცხობინოს მასა.

-ახალციხელები მე მასას არ გამომიცხობენ, მე ხომ ცხინვალელი ვარ.

- შენ არც ცხინვალელი ხარ და არც ახალციხელი, შენ კახელი ხარ, ენისელელი.

- თელავში მასას არ აცხობენ. - ფქვილი ცხინვალში წაიღე და იქ გამოაცხობინე.

- რა, მასხრად მიგდებ, ოქროვ, ოცი წელიწადია ქალაქში ვცხოვრობ და ცხინვალში ვიარო ფქვილით? გეწყინა, განაბობაში რომ დავიჭირე შენი აბრამი?

გერცელი და მისი ამხანაგები შექუჩულ ხალხს მიუახლოვდნენ და ბენო ფიჩხაძემ ოქროს დაუყვირა:

- შენს ზარაფხანაში ხომ არ გგონია თავი, ოქრო, ასე რომ აპამპულებ ღარიბ ისრაელს? როგორც აგირჩიეს გაბაით, ისევე გადაგირჩევენ, თუკი ასე ათვალწუნებით მოექცევი ჯამაათს. თუ შენი აბრამია მართალი, გაუშვი ხელახლად ასწონონ ელყეზერის ფქვილი.

- ხელახლა ასწონონ, ხელახლა! - დაეთანხმა ვიღაცა.

- ხელახლა, ხელახლა! - წამოიყვირა ხალხმა.

აბრამს ჭირის ოფლი გადმოსდიოდა. ჯერ ეცადა, რომ ეხისკიელის ფქვილი დიდ ტომარაში აერია, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა. მერე სასწორის მოშლა უნდოდა, არც ეს დაანებეს. ამ დროს შამაში გაბრიელიც ჩაერია საქმეში. აბრამს ხელი ჰკრა და გვერდზე გასწია, მოავლო ელყეზერის ფქვილს ხელი და სასწორზე დადო. სასწორმა სწორედ ოცდათერთმეტი გირვანქა ასწონა.

ჯამაათი გაკვირვებით მისჩერებოდა აბრამ პაპისმედოვს და ოქრო დავარაშვილს.

- ესეც, შენი აბრამი, მამა აბრამი გაუწყრეს მაგას! - დაიყვირა შამაშ გაბრიელმა. - ჩვენი ჯამაათისაგან მოპარული ფქვილით არის გამდიდრებული. ისე გაიხარა მაგან, როგორც ეგ არის პატიოსანი! გაბაი რომ ოქრო დავარაშვილი იქნება, რა ეთქმის იმ ლოცვას. ოქრო! ნუ მიბღვერი ეგრე, შენი არც მეშინოდა და არც მეშინია! შენი დრო, დიდი ხანია. წავიდა.

- ჩაიგდე ენა მუცელში, თორემ ლოცვიდან გაგაგდებ, შე ბებერო ეშმაკო!

- ლოცვა შენი ხომ არ გგონია, შე ყაჩაღების თავო შენა! ხუთი კაცი გყავს მოკლული და ღმერთი მწამსო, იძახი, შენმა მზემ, აკადუშ ბარუხუ ძალიან გიყვარს, შენ ხომ ქვებითა ხარ ჩასაქოლი, ვინ გიშვებს ბეით ქნესეთში, კებურაზე ხარ გასამსევრებელი...

- კებურაზე შენ წაგათრევენ, შე ბებერო მელა...

- ხალხო, ხუთი წელიწადია, ლოცვას ჩემთვის ჯამაგირი არ მოუცია, მუქთად ვემსახურები ჯამაათს, ჩემს ფულს კი ეს ყაჩაღი სჭამს და თან მემუქრება, ლოცვიდან გაგაგდებო. გაჩერდი თორემ, ადონაის მზემ, რაც არ გამიკეთებია, იმას ვიზამ: მთავრობაში მივალ და ყველაფერს ვეტყვი, თუ როგორ ემსახურებოდი ოხრანკას, როგორ მოკალი ჯავაში მენშევიკების დროს...

- გაბრიელ! - გადმოსძახა ლოცვის აივნიდან ხახამ მეირ ჯინჯიხაშვილმა. - ამოდი ჩქარა, სეფერთორის იადაიმი მოგვიძებნე.

- მოვდივარ, - მიაძახა გაბრიელმა, ოქროს გვერდით ისე გაუარა, არც კი შეუხედნია. სალოცავის კიბეზე ნელნელა ასვლა დაიწყო.

- ჯამაათი უჩემოდ ერთ წუთსაც ვერ ძლებს, ეს კი იძახის ლოცვიდან გაგაგდებო, ვენაცვალე ჩვენს ჯამაათს, რომ მხარში მიდგას და ჩემს თავს არავის აჯობნებინებს, - ბურტყუნებდა გაბრიელი.

ხალხი დაიშალა. აბრამმა ახალი ქვითარი დაუწერა ელყეზერს, ოქრო კუდამოძუებული გავარდა სალოცავის ეზოდან შეაქოლის დასალევად. გერცელი და მისი ამხანაგები ნელა გაიკრიფნენ შუშაბანდში, ფურნიდან მასის ცომის ზელის ხმა, მანქანის გუგუნი და სევდიანი სიმღერა ისმოდა.

- როდის ეშველება ჩვენს უბანს, ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას? - ამბობს გერცელი და თავის ამხანაგებს მიუძღვის.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი მეგობარი შალვა მარდი



ამასწინათ შვეიცარიიდან მივიღეთ გამოჩენილი ქართველი ებრაელი დასტაქარის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, მრავალი სამეცნიერო ორგანიზაციის საპატიო წევრის, აკადემიკოს შალვა მარდის (მარდახიაშვილის) წერილი, რომელშიც იგი გაზეთ „მენორას“ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებს ეხმაურებოდა და აფასებდა მათ როგორც „ძალიან საინტერესოს და ყველაზე აქტუალურს“

მაგრამ ამ გამოჩენილი პიროვნების წერილში უფრო მეტად საყურადღებო და შეიძლება ითქვას, გულდასაწყვეტიც გახლდათ ის პასაჟი, რომელშიც თავის ასაკსა და მისგან გამომდინარე ფაქტორებზე წერდა (ვიდრე ბ-ნი შალვას წერილი მოვიდოდა, ერთი ისრაელელი მეგობარი სატელეფონო საუბარში გვიამბობდა, თუ როგორ ჩავიდა შალვა მარდი ისრაელში, როგორ შეკრიბა მეგობრები და სერობაზე განუცხადა, რომ ასაკის გამო ისრაელში წყვეტს თავის საქმიანობას).

ბ-ნი შალვა მისთვის ჩვეული ირონიით (თვითირონიითაც კი, რაც უაღრესი ტალანტით დაჯილდოებულ ადამიანთა თვისებაა), წერს: „მალე 82 წელი შემისრულდება. პენსიაზე გასვლის დროა,მაგრამ ჩემი მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო პროექტები, რევოლუციური პატენტები, პარტნიორები და კოლეგები, ასევე ყოფილი და მომავალი პაციენტებიარ მაძლევენ უფლებას ვიყო ბებერი, ავადმყოფი და მშვიდად დავტოვო ეს მშვენიერი სამყარო. ყველა ერთხმად გაიძახის, ამ შეშლილ ქვეყნიერებას კიდევ სჭირდებიო“

ბატონი შალვა იმასაც წერს დღეღამეში 25 საათს ვმუშაობ, წინ კიდევ ბევრი პროექტის აღსრულება მაქვსო.

აი, ასეთი ერთობ ცინცხალი, საინტერესო აზროვნების პიროვნებაა ბ-ნი შალვა, ხოლო, რაც შეეხება 24 საათიან დღე-ღამეში მის 25 საათიან „მუშაობას“ ამას მის დიდებულ მეუღლეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ქ-ნ როზმარი მარდს უნდა ვუმადლოდეთ: იგი ისეთ გარემოს უქმნის ბატონ შალვას, რომ ადამიანს დიდი შრომის სურვილი და ძალა უჩნდება.

ბ-ნი შალვა წერს, ცხოვრებაში მოსეს ყოველ მცნებას ვასრულებდიო. ამიტომ ისევ მოშე რაბეინუს მივუბრუნდებით და როშ ჰაშანის წინა დღეებში შალვა მარდს ვავალდებულებთ ბოლომდე მისდიოს მოშე რაბეინუს — მისებრ 120 წელი დარჩეს მზისქვეშეთში.

შორაშიმ — ეროვნული ფესვები

20-31 აგვისტოს ბაკურიანში ჩატარდა საზაფხულო საბავშვო ბანაკი „შორაშიმი“ — „ებრაული დიასპორის ფესვები და მომავალი.“ბანაკში თავი მოიყარეს კავკასიის რეგიონის ებრაელმა ბავშვებმა, ისინი არა მხოლოდ ებრაულ ატმოსფეროში ისვენებენ და კაჯდებიან, არამედ ებრაული ერის ისტორიას, ტრადიციასაც ეუფლებიან. განსაკუთრებული აქცენტი კი კავკასიის რეგიონის ებრაელობის ისტორიაზე, კულტურასა და ტრადიციაზე კეთდება, იმაზე,რაც ასე ახლობელია ბავშვებისათვის და რისი ცოდნაც მათთვის ასე აუცილებელია.

ბანაკის გახსნას წინ უძღოდა სამდღიანი მოსამზადებელი სამუშაო —17-19 აგვისტოს ჩატარდა ბანაკის თანამშრომელთა, პედაგოგთა სემინარი. ამ უკვე საკმაოდ აპრობირებული პროექტის ხელმძღვანელია „შორაშიმის“ მეთაური უკრაინასა და კავკასიაში დოქტორი ნატალია ბაკულინა.

ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ,,ჩარიტიზ ეიდ ფაუნდეიშნის“ ებრაული სააგენტოს—სოხნუთის, „ჯოინთის“, საზოგადო მოღვაწეების; მარკ შაბადის, დავით იაკობაშვილისა და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის კიევის ოფისის ქველმოქმედების მეოხებით.

ბანაკის მუშაობის გასრულების შემდეგ „მენორასთან“ საუბარში **ნატალია ბაკულინამ** თქვა:

— წელს ბანაკში თავი მოიყარა 90 მოზარდმა. ესენი არიან თბილისელი, ბაქოელი, გორელი, იერუსალიმელი, რიშონ ლეციონელი, კიეველი, როვნოელი, ბორჯომელი ბავშვები. 2014 წლის ბანაკის მთავარი კონცეფცია გახლდათ „თიკუნ ყოლამ“ („სამყაროს გამოსწორება“) თანამედროვე სოციუმისათვის ეს მეტად აქტუალური საკითხია. ბანაკის ყოველი დღისათვის შერჩეული გახლდათ სხვადასხვა თემატიკა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, „რას გთხოვს შენ უზენაესი, თუ არა სამართლიანობას, სიყვარულს და გულმოწყალებას?!“, „რა არის კეთილი საქმე, როგორ ვაკეთოთ იგი“, „ადამიანის მისია და ადგილი სამყაროში“, „სამყაროს შეცვლის თაობაზე“, „თიკუნ ყოლამი მოქმედებაში“ და სხვ.

მოზარდებმა დაათვალიერეს სურამის ებრაული უბანი, ნახეს ქალაქი--გამოქვაბული ვარძია, თბილისის უბნები, რომლებთანაც დაკავშირებულია ამ ქალაქში ებრაელთა ყოფა.

ყოველ ადამიანთან განშორება ცხადია გულსაკლავია, მაგრამ არიან ადამიანები რომელთა სხვა სამყაროში გადასვლა, განშორება განსაკუთრებულ ტკივილს იწვევს. ერთი ამათგანია ომარ სეფიაშვილი — კაცი ნათელი, ნიჭიერი, კეთილშობილებით აღვსილი.

დაუვიწყარია ომართან შეხვედრები, იგი მეუღლესთან — ჯულიეტასთან და თავისი ოჯახის წევრებთან ერთად „პერესტროიკის“ წლებში თითქმის პირველი იყო რკინის ფარდა რომ გაარღვია და მონატრებულ საქართველოს ეწვია. დაუვიწყარია იმდროინდელი შეხვედრები. ბესო მიხელაშვილმა, ილიკო მოშიაშვილმა, აწგანსვენებულმა რაფო ჩაჩანაშვილმა ხალხმრავალი შეხვედრები მოუწყვეს დიდი კოკი სეფიაშვილის ოჯახის წევრებს. იმ საღამოების შთაბეჭდილება დღემდე მომყვება. ბრწყინავდნენ ბატონი კოკის ოჯახის წევრები. ბრწყინავდა ომარი. მისი მეუღლე ჯულიეტა — სიტყვა-პასუხით, ებრაული იდენტობის გამოვლინებით იგი მისაბაძ პიროვნებათ წარმოგვიჩინდა. მაშინ ჯერ კიდევ ადრე იყო ეს გვცოდნოდა, მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ომარი იმ ოჯახის შვილი გახლდათ, რომელიც საბჭოეთის წლებში მთელი საბჭოთა კავშირის ბეით ქნესეთების ნახევარს აფინანსებდა. ცხადია ბატონი კოკი მარტო არ იყო, იგი და მისი საქმიანი მეგობრები ეწეოდნენ ამ სასახელო საქმეს. ამ ოჯახში გაზრდილი ომარი, მართლაც ჭეშმარიტი განსახიერება გახლდათ ქართველი ებრაელობისა — ნიჭიერი, წინდახედული, ქველმოქმედი, ღვთის წინაშე თავდახრილი, რწმენით ძლიერი. ასეთი იყო ომარ სეფიაშვილი, ასეთი იყვნენ ქართველი ებრაელები და ამგვარი ადამიანების არსებობა ხალხშიც ბევრ სასიკეთო ძვრას განაპირობებდა.

მარადიული ხსოვნა ამ ჩინებული პიროვნების — ომარ სეფიაშვილისა!

გ. ბ.

სვეტა და ნოდარ პარლაგაშვილები, მაია და დევიდ პალაგები, მაკა და ზაზა აივაზები, ინგა და რეუვენ ენოხები (ენუქაშვილები), ნინო და ელი ენოხები, ლუბა ენუქაშვილი, ციალა ბუზიაშვილი-იაკობაშვილისა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კანადაში გარდაიცვალა ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი

ომარ კოკის ძე საპირი (სეფიაშვილი)

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557

9771987898003